17/12/2025

MES 6 25 0001795020

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა:
დეკანოზი იაკობ ბენიძე - სკოლის დირექტორი;
პირიმზე რურუა - სკოლის დირექტორის მოადგილე;
კახა ხელაძე - სკოლის ფინანსური კონსულტანტი.

შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერია:
ლამზირა აბულაძე - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი;
ეთო ჩხარტიშვილი - სკოლის იურისტი.

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა:
დავით ნავდარაშვილი - სკოლის დირექტორი.

სსიპ - ქალაქ ბათუმის №25 საჯარო სკოლა:
ზეინაბ წულუკიძე - სკოლის დირექტორი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა:
ა) ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ჩხიკვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მზია მახაჭაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ქოქუაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერია:
ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გოგი თოდუა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) თეა მელქაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა ნიკოლაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ასათიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა:
ა) ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბათუმის №25 საჯარო სკოლა:
ა) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეა ტაბატაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 03 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ბათუმის №25 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 01 და 02 ოქტომბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა. ასევე, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებს სკოლა თავადაც გადასცემდა მედალსა და ერთჯერად ფულად ჯილდოს. გარდა ამისა, სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა არაფორმალურ განათლებას და ამ მიზნით შექმნილი იყო სხვადასხვა მიმართულების კლუბი და წრე.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს დაწესებულება ახორციელებდა ერთ მისამართზე არსებულ ორ შენობაში, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ფლიგელით. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოვლილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დასძინა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, რომელიც შეისწავლა საბჭომ და მე-3 სტანდარტთან მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრილი იყო.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიღებული რჩევების გათვალისწინების რა ეტაპზე იყო სკოლა.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, პირიმზე რურუამ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიღებულ რჩევათა უმრავლესობა უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, რატომ ჰქონდა სკოლას ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა და რა ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, პირიმზე რურუამ, აღნიშნა, რომ წარსულში დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა სრულდებოდა 2026 წელს და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ხდებოდა ცვლილებების ასახვა, მისი თქმით, ელოდნენ 2025 წლის დასრულებას და 2026 წლიდან აპირებდნენ დაემტკიცებინათ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიღებული რეკომენდაციის შემდგომ, გამოასწორეს ეს ხარვეზიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1300 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:45
დასრულების დრო - 14:48

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლას (ს/კ: 445564862) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N49.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N49.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N49.

2. შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 01 და 02 ოქტომბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 169. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 169 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ირინა დვალმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ, სკოლას ჰყავდა უსტატუსო მასწავლებლები შემდეგ საგნებში: გეოგრაფია, მე და საზოგადოება და დაწყებითი კლასების ერთი მასწავლებელი, მე-2 სტანდარტთან

მიმართებით ხარვეზი დაფიქსირებული იყო უცხოურ ენასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. ექსპერტის თქმით, სკოლის მიმართ, ასევე, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ირინა დვალმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლის სახელწოდება „შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერია“ არ შეესბამებოდა მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რომლის თანახმადაც სკოლის ახალი სახელწოდება იყო „მრავალდარგობრივი სკოლა იბერია“, შესაბამისად სკოლამ დააკმაყოფილა მისი სტატუსის აღმნიშვნელი კანონმდებლობით დადგენილი ტერმინი.

ექპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე მოხვედრა შესაძლებელი იყო პატარა კარებიდან (ჭიშკრიდან), რომლიდანაც პიროვნება ხვდებოდა საცხოვრებელი კორპუსის საერთო ეზოში, ეზოდან გასასვლელი იყო გარაჟებსა და მეორე ეზოში. მისი თქმით შენობაში იყო: თერთმეტი საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო, სამზარეულო, სპორტული დარბაზი, ხოლო სკოლის სარგებლობაში იყო შენობის 378 კვ.მ ფართი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა ექსპერტს, შეეფასებინა, რამდენად რეალური იქნებოდა 378 კვადრატულ მეტრ შენობაში 169 მოსწავლისთვის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, ასევე, იყო თუ არა ადაპტირებული გარემო.

ექსპერტმა, ირინა დვალმა, აღნიშნა, რომ კიბეზე იყო მოძრავი პანდუსი, თუმცა კიბის დახრილობა ეჭქვეშ აყენებდა მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას ამ პანდუსზე. მისი თქმით, სკოლას ჰყავდა თერთმეტი კლასი, ასევე ჰქონდა ორი ცარიელი სივრცე, სადაც საჭიროების შემთხვევაში მოაწყობდნენ საკლასო ოთახს, თუმცა, უსაფრთხოების თვალსაზრისით საეჭვო იყო სკოლის შესასვლელი და ეზო, ვინაიდან დაწესებულება მდებარეობდა ახალი აშენებული კორპუსის ერთ სართულზე და იმ შესასვლელთან, რითაც მოსწავლეები სარგებლობდნენ, მანქანებსაც უწევდათ გადაადგილება.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, სკოლას ჰქონდა თუ არა ცალკე სარგებლობის კიბე, თუ კიბე იყო კორპუსის სარგებლობაში.

ექსპერტის, ირინა დვალის თქმით, სკოლის კარიდან შესაძლებელი იყო კორპუსის სადარბაზოში გასვლა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ კორპუსში, სადაც ასევე გადაადგილდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, სკოლის ფუნქციონირება იყო დაუშვებელი იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოება არ იყო დაცული.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციის თანახმად, სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა სტანდარტის შესაბამისი ექიმის კაბინეტი, სველი წერილები, ლაბორატორია და ა.შ და დაინტერესდა, რამდენ ხანში მოახერხა სკოლამ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა, ასევე ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

ექსპერტის, ირინა დვალის თქმით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციით, დაახლოებით ვიზიტიდან სამი კვირის შემდგომ. მისი თქმით, სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას რესურს ოთახი.

ექსპერტის, ირინა დვალის თქმით, სკოლას არ ჰქონდა რესურს ოთახი, თუმცა ჰყავდათ კვალიფიციური სპეციალური მასწავლებელი.

საბჭოს წევრმა, მანანა თურქაძემ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ფოტო - მასალის თანახმად, სათუო იყო საცხოვრებელი კორპუსის შენობაში საგაკვეთილო პროცესის განხორციელება და დაინტერესდა, გარდა ინფრასტრუქტურისა, რამდენად ჯანსაღად და სწორად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი აღნიშნულ დაწესებულებაში.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, აღნიშნა, რომ სკოლის მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ, უნდა ჰქონოდა მეტად დახვეწილი კურიკულუმები და სასწავლო გეგმა, მისი თქმით, საგნობრივი ექსპერტები დადგნენ მრავალი გამოწვევის წინაშე.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ თუ სკოლას შეეძლო ინფრასტრუქტურული პრობლემების სამ კვირაში აღმოფხვრა, რატომ ელოდებოდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს, მისთვის საეჭვო იყო, რომ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოდგენილი ფოტო-მასალა იყო დროებითი. მისი შეფასებით სრული შეუსაბამობა იყო სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმას შორის.
სკოლის იურისტმა, ეთო ჩხარტიშვილმა, აღნიშნა, რომ შენობის 378 კვადრატული მეტრი იყო სკოლის დირექტორის საკუთრებაში, ხოლო შპს-ის საკუთრებაში იყო კიდევ ანტრესოლი (56 კვადრატული მეტრი). ასევე, მისი თქმით დაწესებულებას ჰქონდა შეთანხმება, რომ სკოლის ეზო გამოყენებული იყოს მხოლოდ სკოლის საჭიროებებისთვის და იქ არ მოხდეს მესამე პირის გადაადგილება, ასევე, იგეგმებოდა ორი გასასვლელი კარის მოწყობა, რათა უფრო მეტად მომხდარიყო მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე მეტი დეტალი ეცნობებინათ საბჭოსთვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ნანა ნიკოლაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ პირველად წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ვერ პასუხობდა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, თუმცა მასწავლებლებმა შემდგომ გადმოაგზავნეს მეტ-ნაკლებად გამოსწორებული დოკუმენტაცია.
უცხოური ენების ექსპერტმა, სალომე ასათიანმა, აღნიშნა, რომ კურიკულუმებში არ იყო ასახული კუმულაციური მეთოდით უცხოური ენების სწავლა, იყო გამოსწორების მცდელობები, თუმცა, მისი შეფასებით აღნიშნული იყო სრულიად შესაცვლელი. მისი თქმით, დაწესებულება მონაწილეობას იღებდა უცხო ენოვან პროექტებში, თუმცა პროექტში ჩართული არ იყვნენ უცხოური ენების მასწავლებლები.
ტექნოლოგიების ექსპერტის, თეა ღვინიანიძის თქმით, კურიკულუმებში თემა და რესურსი იყო სხვადასხვა და არ მიესადაგებოდა ერთმანეთს.
საბჭოს მდივანმა, ნინო ბერიკაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას სამ საგანში არ ჰყავდა კვალიფიციური მასწავლებლები და დაინტერესდა, რა იყო ამის მიზეზი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში და არ იყო კვალიფიციურ მასწავლებელთა დეფიციტი, ასევე, ვინ ატარებდა შესაბამის გაკვეთილებს.
სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის, ლამზირა აბულაძის თქმით, გამოაცხადეს ვაკანსია და საბჭოს ჩატარების დროისთვის სკოლაში დასაქმებულნი იყვნენ კვალიფიციური და სტატუსის მქონე მასწავლებლები.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გეოგრაფიის მასწავლებელს არ ჰქონდა სტატუსი, შემდგომ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინეს, ხელშეკრულება, რომელშიც იგივე უსტატუსო მასწავლებელი იყო გაფორმებული ორი წლით.
სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის თქმით, სკოლამ გასაუბრების შემდეგ დაასაქმა გეოგრაფიის სტატუსიანი მასწავლებელი და სავარაუდოდ გადმოგზავნილ დოკუმენტში ფიქსირდებოდა ხარვეზი, ასევე, მისი თქმით, სკოლას ჰყავდა ორი შემცვლელი მასწავლებელი, ვინაიდან მასწავლებლები იმყოფებოდნენ დეკრეტულ შვებულებაში.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხარვეზების აღმოფხვრისთვის რატო ელოდა სკოლა ექსპერტთა ჯგუფს და მანამდე რატომ არ გაითვალისწინეს რიგი საკითხები.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, შენობაში მიმდინარეობდა რემონტი და ძირითად ხელისშემშლელელ ფაქტორს სწორედ ეს წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში.
სკოლის წარმომადგენლის თქმით, სკოლაში სწავლობდა 107 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალდარგობრივი სკოლა იბერიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 169 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:10
დასრულების დრო - 15:21

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 13

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გამოვლენილი ხარვეზები, დასკვნაში ასახული გარემოებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ ორი სტანდარტი იყო შეუსაბამო, მიიჩნიეს, რომ დაწესებულება ვერ შეძლებდა მოსწავლეებისათვის ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებას.
საბჭოს მითითებით, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად უნდა განსაზღვრულიყო სასწავლო წლის დასრულების თარიღი, 2026 წლის 30 ივნისი.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 23-ე მუხლის შესაბამისად, შპს მრავალდარგობრივ სკოლა იბერიას (ს/კ: 245437772) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 30 ივნისი.

3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 და 31 ოქტომბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ოქტომბრის N1377632 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 450 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 339.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტი 3.5 შეფასდა „ნაწილობრივად“, ხოლო 3.1 კომპონენტი შეფასდა „მეტწილად“
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოვლილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ სკოლას გამოსასწორებელი რჩებოდა კვლავ 3.1 და 3.5 ინდიკატორებთან დაკავშირებული საკითხები.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, დაადასტურა აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 15:41

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის (სკ/: 236087818) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში კადრების შერჩევის პროცედურების სკოლის დონეზე შემუშავება და პირადი საქმეების მოწესრიგებისთვის ყველა დანაკლისის შევსების (კონკრეტულად: 3 მასწავლებლის დიპლომი; 15 თანამშრომლის „ნასამართლობის“ ცნობა; 29 თანამშრომლის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის“ ცნობა; 21 თანამშრომლის ნარკოლოგიური ცნობა; 16 თანამშრომლის ჯანმრთელობის ცნობა; 13 თანამშრომლის 13პირადობის მოწმობის ასლი; 27 თანამშრომლის CV/ავტობიოგრაფია); შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, ხოლო შესრულებისა და დამადასტურებელი მტკიცებულებების მიღებისთანავე შენობის ადაპტირების (მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლეთა გადაადგილების საშუალების მოწყობის) დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ქალაქ ბათუმის №25 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 27 და 28 ოქტომბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N1161984 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

განესაზღვრა 1600 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1487.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასდა „ნაწილობრივად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- “დაწესებულებამ უზრუნველყოს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ჩატარების წესის შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი მექანიზმის შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტის შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს საჩივრების განხილვის სისტემის შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის პერსონალის და მოსწავლეთა უფლებების დაცვის შიდა მექანიზმების შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლაში მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება; შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმების შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს მატერიალური რესურსის განკარგვის წესის შემუშავება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.”

ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესრულებული არ ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ადაპტირებული საპირფარეშოების მოწყობა.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას და სხვადასხვა ოლიმპიადასა და ღონისძიებაში ჩართულობას, ასევე, სკოლას ჰყავდა მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და მოტივირებული მასწავლებლები.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო სკოლის ეზოს მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის, ზეინაბ წულუკიძის თქმით, ეზოს მთლიანობის აღდგენისთვის აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა და 2026 წლის ზაფხულში განხორციელდებოდა ეზოსა და სახურავის სრული რეაბილიტაცია, ასევე გათვალისწინებული იქნებოდა საფეხმავალო ბილიკი და მოსახლეობა ვეღარ შეძლებდა სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილებას.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა რა მდგომარეობა იყო ადაპტირებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლის შენობაში იყო სსიპ-ქალაქ ბათუმის N31 საჯარო სკოლა, ვინაიდან უტარდებოდა რეაბილიტაცია და მას შემდეგ, როდესაც N31 საჯარო სკოლა დაუბრუნდებოდა თავის შენობას, დაიწყებოდა სკოლის რეაბილიტაცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ადაპტირებული გარემოს მოწყობაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის №25 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:57
დასრულების დრო: 16:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ბათუმის №25 საჯარო სკოლის (სკ/: 248385965) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივნისში სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების, მისი შედეგების საჯაროობის, შედეგების გაანალიზების და მომავალ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ინტეგრირების, სამედიცინო კაბინეტის პირველადი საჭიროების მედიკამენტებით მომარაგების და შირმის ყიდვის/მოწყობის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, ეზოს მთლიანობის დაცვისა და ინფრასტრუქტურის ადაპტირების დამდასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:07 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე